თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 11

„14 “ ივნისი 2023 წ. ქ. თელავი

**თავმჯდომარეობდა :** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
**თენგიზი მთვარელიშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**
თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი;**
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი;**
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

   მომხს. თ.მთვარელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. თ.მთვარელიშვილი

3. საკრებულოს წევრების მიხეილ დაღუნდარიძის და თინათინ ხანჯალიაშვილის თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

   მომხს. ლ.კოჭლოშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების შესახებ.

   თ. მთვარელიშვილი

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

**თავმჯდომარემ** ბიუროს წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები.

**გადაწყვიტეს:** **თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს კომისიებში გადანაწილდეს შემდეგი სახით:**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

**სოციალური, კულტურის, განათლებისა**
**და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

**სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის**
**და ბუნებრივი რესურსების კომისია:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

**ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მარიამ ბუღდიაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ “ცვლილებისშეტანის თაობაზე;

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N40 განკარგულების „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

**თ.ხანჯალიაშვილმა** ბიუროს წევრებს წარუდგინა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით ბიუროს წევრებს სხვა წინადადებები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

<u>დაადგინეს:</u> საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

<u>3.მოისმინეს:</u> საკრებულოს წევრების მიხეილ **დაღუნდარიძის და თინათინ ხანჯალიაშვილის** თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი

**ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებმა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ დაღუნდარიძემ და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ხანჯალიაშვილმა გამოთქვეს სურვილი გაწევრიანდნენ თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფში.

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს წევრების **მიხეილ დაღუნდარიძის და თინათინ ხანჯალიაშვილის** თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფში გაწევრიანება **მიღებულ იქნეს** ცნობად .

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების შესახებ.

თ. მთვარელიშვილი

**თ.მთვარელიშვილმა** აღნიშნა, რომ 26 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით ოფიციალური მოწვევის საფუძველზე იგეგმება მისი მივლინება თურქმენეთის ქალაქ არკადაში.

<u>გადაწყვიტეს:</u> მიმდინარე წლის 26 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით საკრებულოს თავმჯდომარის მივლინება მიღებულ იქნეს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი